შპს „ვაგი“

ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს და ნავთპროდუქტების საცავის ექსპლოატაციის

სკრინინგის განაცხადი

ვანის მუნიციპალიტეტის სოფ.ზეინდარის მიმდებარე ტერიტორია

შემსრულებელი:შპს „სამნი“

დირექტორი: თ.კეპულაძე
მობ: 5 91 15 72 72

შპს „ვაგი“-ს დირექტორის მინდობილი პირი:

ოთარ ჩიხლაძე
მობ.: 5 95 92 75 77

ვანი 2022

სარჩევი

1. შესავალი 3

2. დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლები 4

3. საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა 4

4. საწარმოს მუშაობის რეჟიმი 11

5. ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ელემენტები და ტექნოლოგიური პროცესი 11

6. ობიექტის წყალმომარაგება და წყალარინება. 17

7. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ფუნქციონირების პროცესში 24

7.1. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე. 24

7.2. ხმაურის ზემოქმედება 30

7.3. ზემოქმედება ლანდშაფტზე და ბიომრავალფეროვნებაზე 31

7.4. ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედება; 32

7.5. ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე 33

7.6. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები 33

7.7. ზემოქმედება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე 37

7.8. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე 38

7.9. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება 38

7.10. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე 39

7.11. ავარიული რისკები 39

7.12. კუმულაციური ზემოქმედება 39

7.13. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება 40

8. საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედების ტიპი, მასშტაბი და ხარისხი 40

დ ა ნ ა რ თ ე ბ ი 41

დანართი 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. 42

დანართი 2. მინდობილობა. 46

დანართი 3. პასუხები სამინისტროს შენიშვნებზე (წერილი10/02/2022წლის N1277/01). 48

დანართი 4. პასუხები სააგენტოს N 21/5184 13/09/2022 წერილით გამოგზავნილ შენიშვნებზე. 50

1. შესავალი

შპს „ვაგი“-მ (ს/კ 412758957), 2021 წლის 28 აპრილს, შპს გელათი-2007 -საგან (ს.კ.212887722) შეიძინა ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმო, მდებარე ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. ზეინდარში (ნაკვ. 31.17.21.003 და 31.17.21.552.) (დანართი 1). ობიექტს სამინისტროსთან შეთნხმებული ჰქონდა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში 2019 წლის 18 დეკემბერს.

კომპანიის მიერ წარმადობის გაზრდის მიზნით განხორციელდა მძლავრი ვიბროცხავის დამონტაჟება, როტორული სამსხვრევის კონუსურით ჩანაცვლება და ლენტური ტრანსპორტიორების რაოდენობის გაზრდა. ასევე, საკუთარი მოხმარებისათვის ტერიტორიაზე განთავსებულია 20 000 ლ ტევადობის დიზელის ავზი და საჩამომსხმელო სვეტი, რომელიც არ იყო გათვალისწინებული გელათი 2007-ის ინვენტარიზაციის ტექნიკურ ანგარიშში.

აღნიშნული ტიპის ობიექტი შედის საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 5.1. და 6.3. პუნქტებში და მეშვიდე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას. აღნიშნულის გათვალისწინებით, მომზადებული იქნა სკრინინგის განაცხადი, რომელიც 2022 წლის 14 იანვარს წარდგენილი იქნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

სამინისტროს 10/02/2022 წლის N1277/01 წერილით მოთხოვნილი იქნა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა და ცალკეული საკითხების დაზუსტება. ამასთან სკრინინგის პროცედურის გარეშე საქმიანობისათვის გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონალური სამმართველოს მიერ, კომპანიის მიმართ, შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისს ოქმი N06599 (22.12.2021), რაზედაც იმსჯელა ვანის მაგისტრატმა სასამართლომ.

სამინისტროს შენიშვნების გათვალისწინებით და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად კომპანიის მიერ შემუშავებული იქნა სკრინინგის განაცხადი, როელიც წარდგენილი იქნა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში.

სააგენტოს მიერ შეწყდა ადმინისტრაციული საქმის წარმოება, ცალკეული საკითხების დაზუსტებისა და დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენის საჭიროების გამო. სააგენტოს 15/06.2022. N21/2581 და N 21/5184 13/09/2022 წერილებით გამოგვევზავნა შენიშვნები, რომელთა გათვალისწინებით მოხდა სკრინინგის განაცხადის გაახლება..

ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში 1.1.

ცხრილი 1.1.

ქარხნის ოპერატორი კომპანია	შპს „ვაგი“
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზირი, N 139, ბინა N 41
საქმიანობის განხორციელების მისამართი მისამართი	ვანის მუნიციპალიტეტი, სოფ.ზეინდარი
საქმიანობის სახე	ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმო
დირექტორი მინდობილი პირი	ფრიდონ ღვინეფაძე ოთარ ჩიხლაძე (დანართი 2)
საკონტაქტო ტელეფონი	5 95 92 75 77
ელ. ფოსტა	gvinepadzefridoni@gmial.com
საკონსულტაციო კომპანია	შპს „სამნი“
პროექტის ხელმძღვანელი	თეიმურაზ კეპულაძე
საკონტაქტო ტელეფონი	5 91 15 72 72

2. დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლები

ცხრილი 2.1.

პროექტის განხორციელების ადგილი	ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. ზეინდარი
განთავსების ადგილი	ნაკვეთი 31.17.21.003 ; ნაკვეთი 31.17.21.552
საპროექტო წარმადობა	50 $მ^3$/სთ; წელიწადში 100 000$მ^3$/წელ
მეთოდი	სველი
სამუშაო დღეთა რაოდენობა წელიწადში	250
საწარმოს მუშაობის საათების რაოდენობა დღე-ღამეში	8
გამოყენებული რესურსები:	ქვიშა-ხრეში მოპოვებული ლიცენზირებული კარიერებიდან
სხვა მახასიათებლები	დიზელით გასამართი პუნქტი 20$მ^3$ ავზითა და ერთი საჩამომსხმელო სვეტით საკუთარი მოხმარებისათვის
მოხმარებული საწვავის(დიზელი)რაოდენობა წელიწადში	100 000 ლ/წელ.
დაშორება უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან	2 კმ-ზე მეტი

3. საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა

განსახილველი საწარმო ფუნქციონირებს 2007 წლიდან. 2021 წლის აპრილში იგი შეიძინა შპს „ვაგი“-მ.

საწარმო განთავსებულია კომპანიის საკუთრებაში არსებულ, ორ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი: 31.17.21.003; ფართობი - 29980$მ^2$, ნაკვეთი 31.17.21.552 ფართობი-3760 $მ^2$). იგი მდებარეობს ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზეინდარის ტერიტორიაზე. ტერიტორია მოხრეშილი შიდა სასოფლო გზით (სურათი 3.1.) უკავშირდება ვანი-ბაღდათის საავტომობილო გზას. უახლოესი დასახლებული პუნქტებია სოფლები ზეინდარი (დაშორება 2 200 მ) და ტყაჩირი (დაშორება 2 300 მ) (ნახაზი 3.1.).

საწარმოს ირგვლივ ეკვრის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები, რომლებზეც განთავსებულია მცირე ზომის ფერმები. უახლოესი (ამჟამად უფუნქციო) მდებარეობს საწარმოდან 180 მ-ში დასავლეთით (სურათ 3.2.).

უახლოესი ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმო მდებარეობს მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირზე, 1 100მ-ს დაცილებით.

საწარმოდან ჩრდილოეთით, 270 მეტრის დაშორებით განთავსებულია მდ. რიონის კალაპოტი, ხოლო სამხრეთით 210 მ-ში მიედინება მდ. კორისწყალი (ნახაზი 3.2.).

მდინარე კორისწყალი სათავეს იღებს ქედის დასავლეთ კალთებზე, მთა კვინისთავის ჩრდილო-დასავლეთით 4 კმ-ში, 1 720 მეტრის სიმაღლეზე. სოფელ როხთან შეერთვის ე.წ. რიონის შტოს, რომელიც სოფელ დიდველიდან მოყოლებული გამოყოფილია რიონის ძირითადი ნაწილიდან და პარალელურად მიედინება. გზად კორისწყლისა და სხვადასხვა მცირე შენაკადების გარდა შეირთავს ბანურას, ფერეთას, კვინისწყალს და ამაღლების სიახლოვეს რიონის სხვა რამდენიმე ნაკადში იხლართება.

მდინარის სიგრძეა 28 კმ, საერთო ვარდნა 1 665 მეტრი, საშუალო ქანობი 59,1 %, წყალშემკრები აუზის ფართობი 54.8 კვ. კმ, აუზის საშუალო სიმაღლე კი 462 მეტრი ზღვის დონიდან. ნაკადის სიგანე იცვლება 1-დან 10 მეტრამდე, სიღრმე 0,2-დან 1 მ-მდე, ხოლო სიჩქარე 0,6-0,8 მ/წმ-დან 0,1-0,3 მ/წმ-მდე. საშუალო ხარჯი შეადგენს 3,95 $მ^3$/წმ-ს. მდინარე საზრდოობს თოვლის, წვიმის და გრუნტის წყლებით. მისი წყლიანობის რეჟიმი ხასიათდება წყალმოვარდნებით მთელი წლის განმავლობაში. მდინარეზე ყინულოვანი მოვლენები არ ფიქსირდება. მდინარე გამოიყენება სოფლის წისქვილების სამუშაოდ და სარწყავად.

ტერიტორიების წვეროთა ნუმერაცია და GPS კოორდინატები მოცემულია 3.3 ნახაზზე და 3.1 ცხრილში.

განსახილველი ტერიტრიას ყველა მიმართულებით ესაზღვრება თავისუფალი მიწის ნაკვეთები (სურათები 3.3-3.6.).

სურათი 3.1.

სურათი 3.2. უახლოესი ფერმის შენობა (უფუნქციო)

სურათი3.3. ხედი ტერიტორიის აღმოსავლეთით.

სურათი 3.4. ხედი ჩრდილოეთით.

სურათი 3.5. ხედი დასავლეთით.

სურათი 3.6. ტერიტორიის სამხრეთი.

ნახაზი 3.1. სიტუაციური ნახაზი.

ნახაზი 3.2. სიტუაციური ნახაზი.

ნახაზი 3.3. ნაკვეთის წვეროთა ნუმერაცია.



ცხრილი 3.1.

წერტილის №	ნაკვეთების წვეროთა GPSკოორდინატები	
	X	Y
ნაკვეთი 31.17.21.003		
1	306628	4665737
2	306810	4665830
3	306825	4665834
4	306853	4665783
5	306856	4665695
6	306840	4665653
7	306834	4665612
8	306834	4665573
9	306829	4665576
ნაკვეთი 31.17.21.552		
10	306849	4665789
11	306864	4665788
12	306871	4665783
13	306883	4665756
14	306891	4665729
15	306891	4665690
16	306887	4665684

17	306873	4665682
5	306856	4665695
4	306853	4665783

4. საწარმოს მუშაობის რეჟიმი

სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს წარმადობა შეადგენს 50 $მ^3$ საათში. ბიზნეს-გეგმის მიხედვით მსხვრევის პროცესის ხანგრძლიობა დღეღამეში შეადგენს 8 საათს. სამუშაო დღეთა რაოდენობა შეადგენს 250-ს წელიწადში. ამ პარამეტრების მიხედვით წლის განმავლობაში გადამუშავდება 100 000 კუბ.მ (180 000ტ) ქვიშა-ხრეში. ამ უკანასკნელის ფრაქციული შემადგენლობის გათვალისწინებით, მიღებული პროდუქციის რაოდენობა 95-98% იქნება, რაც შეადგენს 95 000-97 000 $მ^3$-ს. მიღებული პროდუქციის 35% იქნება ქვიშის ფრაქცია (0-6) და 65%-დანარჩენი ფრაქციები (6-12; 12-18 და 0-40).

საწარმოს ფუნქციონირებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის რაოდენობა შეადგენს 10 კაცს, რომლებიც იმუშავებენ ერთცვლიანი რეჟიმით, 5 დღიანი სამუშაო კვირით და 8 საათიანი სამუშაო დღით.

5. ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ელემენტები და ტექნოლოგიური პროცესი

საწარმოს ტექნოლოგიური და დამხმარე ინფრასტრუქტურის ელემენტები მოცემულია ნახაზზე 5.1, ხოლო ჩამონათვალი ცხრილში 5.1. საწარმო მოიცავს ყბებიან და როტორულ მსხვრევანებს, ორ ვიბროცხავს, კლასიფიკატორს და ბაქნებს ნედლეულისა და პროდუქციის განსათავსებლად. აღნიშნული მოწყობილობები დაკავშირებული არიან 8 ცალი ლენტური ტრანსპორტიორით.

ტექნოლოგიური პროცესისათვის წყალმომარაგება ხორციელდება ჩაკეტილი ციკლით. ტექნოლოგიურ პროცესში საჭირო წყლის მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს 150 $მ^3$/სთ.

სურათი 5.1. საწარმოს საერთო ხედი

ნახაზი 5.1.


8
5
9
10
23
22
18
21
11
20
17
14
19
15
13
12
7
16
6
4665650
2
3
4
4665610
1
4665570
306660
306700
306740
306780

ცხრილი 5.1.

№	დასახელება
1	ადმინისტრაციულ საყოფაცხოვრებო სათავსო
2	საწყობი
3	დიზელის ავზი
4	დიზელის საჩამომსხმელო სვეტი
5	ნედლეულის ბსქანი
6	ქვიშის ბაქანი
7	პროდუქციის ბაქნები
8	პანდუსი
9	მკვებავი ბუნკერი
10	ყბებიანი მსხვრევანა
11	ტრანსპორტიორი
12	ვიბროცხავი
13	კლასიფიკატორი
14	ტრანსპორტიორი
15	ტრანსპორტიორი
16	კონუსური მსხვრევანა
17	ტრანსპორტიორი
18	ვიბროცხავი
19	ტრანსპორტიორი
20	როტორული მსხვრევანა
21	ტრანსპორტიორი
22	ტრანსპორტიორი
23	სალექარი

საკუთარი სატრანსპორტო საშუალებების გასამართად საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილია დიზელის გასამართი პუნქტი, ერთი 20 $მ^3$-ის მოცულობის ავზითა (სურათი 5.2) და ერთი საჩამომსხმელო სვეტით (სურათი 5.3).

ავზი აღჭურვილია სასუნთქი სარქველით (სურათი 5.4.), რომლის სიმაღლეა 3 მ. ხოლო დიამეტრი 50 მმ. კომპანიის მიერ დაგეგმილია დიზელის გასამართი პუნქტის ტერიტორიის მობეტონება. ჩამოსასხმელი სვეტის ტერიტორია გადახურულია. ავზი განთავსებულია ლითონის საყრდენებზე, ტერიტორია მობეტონდება, მოეწყობა ავარიული დაღვრის საწინააღმდეგო კედელი. ტერიტორია გადაიხურება თუნუქის სახურავით (ნახაზი 5.2.)

ნახაზი 5.2.დიზელის ავზის გადახურვის განსახორციელებელი სქემა.



სურათი 5.2. დიზელის ავზის განთავსების არსებული მდგომარეობა.

სურათი 5.3. დიზელის ჩამოსხმის სვეტი

სურათი 5.4. სასუნთქი სარქველი

ტერიტორიაზე მოწყობილია ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო შენობა (სურათი 5.5).

სურათი 5.5.

ტექნოლოგიური პროცესების თანმიმდევრობა შემდეგია:

ნედლეული შემოიზიდება ავტოთვითმცლელებით და განთავსდება ნედლეულის ბაქანზე ან იყრება ვიბრომკვებავის (9) ბუნკერში, საიდანაც მიეწოდება ყბებიან მსხვრევანას (10). პირველადი მსხვრევის შემდეგ მასა ლენტური ტრანსპორტიორით (11) მიეწოდება ვიბროცხავს (12). ვიბროცხავზე ესხმება ტექნიკური წყალი. წვრილმარცვლოვანი ქვიშის მასა წყალთან ერთად მიეწოდება სპირალურ კლასიფიკატორს (13) გასარეცხად. საიდანაც ტრანსსპორტიორის მეშვეობით (14) განთავსდება ბაქანზე (6). ვიბროცხავზე დარჩენილი მასა ტრანსპორტიორის (15) მეშვეობით მიეწოდება კონუსურ მსხვრევანას (16). სამსხვრეველიდან მასა ლენტური ტრანსპორტიორით (17) მიეწოდება ვიბროცხავს (18), რომელზედაც ხდება 0-6; 6-12; 12-18 და 0-40 ფრაქციების გამოყოფა, რომლებიც ტრანსპორტიორების (19;20;21;22) მეშვეობით განთავსდება ბაქანზე (7).

ტექნოლოგიური პროცესი სველია. წყალაღება ხდება გუბურადან, რომელშიც წყალი შემოედინება მდ. კორისწყლი მარჯვენა განშტოებიდან. გამოყენებული წყალი ჩაედინება სალექარში და გაწმენდის შემდეგ უბრუნდება ტექნოლოგიურ პროცესს.

6. ობიექტის წყალმომარაგება და წყალარინება.

საწარმოში წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნებისათვის.

სასმელი წყლის შეძენა გათვალისწინებულია მარკეტებიდან. საყოფაცხოვრებო-სამეურნეო წყლის აღება მოხდება მიწისქვეშა ჰორიზონტიდან, სათანადო ლიცენზიის საფუძველზე.

მიწისქვეშა ჰორიზონტის ჭა მოწყობილია კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, აღებულია სასარგებლო წიაღისეულის, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების ლიცენზია N10002678, 07.02.2022წ.

რადგან სამუშაო რეჟიმი ერთცვლიანია, სამეურნეო მიზნით საჭირო წყლის რაოდენობა იქნება

$10 \times 25 \times 10^{-3} = 0{,}25$ მ³/დღ. $0{,}25 \times 250 = 62{,}5$ მ³/წელ.

საწარმოო მიზნით წყალი გამოიყენება ქვიშა-ხრეშის სველი მეთოდით მსხვრევა-დახარისხების პროცესში. დაგეგმილი ტექნოლოგიური პროცესისა და ტექნოლოგიური რეგლამენტის შესაბამისად 1 მ³ ინერტული მასალის გადამუშავებას (პირველადი და მეორადი რეცხვა) დასჭირდება 3 მ³-მდე ტექნიკური წყალი. შესაბამისად საათში საჭიროა 150 მ³, დღეში 1200 მ³, ხოლო წელიწადში 300 000 მ³ წყალი. საწარმოში მოწყობილია წყლის გამოყენების ბრუნვითი სისტემა, შესაბამისად ბუნებრივი წყლის ობიექტიდან ასაღები წყლის რაოდენობა შეადგენს საჭირო წყლის 10 %-ს:

15 მ³/სთ, 120 მ³ /დღ. დღ; 30 000 მ³/წელ.

საწარმოო მიზნით წყალაღება გათვალისწინებულია ტერიტორიის მიმდებარედ არსებული გუბურადან, შემდეგ x-306969, y-4665714, რომელშიც წყალი შემოედინება ღია არხით მდ. კორისწყალის განშტოებიდან. შემდეგი კოორდინატიდან **x-306996, y-4665482**.
მდინარე კორისწყალი სოფ. ზეინდარის ჭალებზე იტოტება და წარმოქმნის რამდენიმე განშტოებას, რომლებზედაც საწარმომდე მისასვლელ გზაზე მოწყობილია 3 ხიდი. უბურაში წყალი შემოედინება უკიდურეს მარჯვენა განშტოებიდან, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში დანარჩენებზე წყალუხვია (სურათები 6.1.; 6.2.; 6.3.).

სურათი 6.1. კორისწყალის მარჯვენა განშტოება

სურათი 6.2. არხში წყლის შემოდინების ადგილი

სურათი 6.3. ხიდი კორისწყალის მარჯვენა განშტოებაზე

მდინარიდან ტექნიკური წყალი მოედინება ღია არხით თვითდინებით და ჩაედინება წყალმიმღებ გუბურაში (სურათი 6.4.). არხი მიედინება საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებს შორის, არ არის ფიზიკური ან იურიდიული პირების საკუთრებაში რეგისტრირებული. აღნიშნული არხით არ სარგებლობენ სხვა მოსარგებლეები.

გუბურადან წყალაღების ტუმბოს საშუალებით წყალი მიეწოდება საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ სალექარის სუფთა წყლის შემკრებ განყოფილებას. წყალაღება ხდება შემდეგ GPS კოორდინატზე x-306969, y-4665714.

ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღებისათვის გამოყენებული წყალმიმღები გუბურაში დაყენებული იქნება 500 ლ/წთ სიმძლავის ტუმბო (DT8A).

სურათი 6.4.

სუფთა წყლის გუბურიდან, ტექნიკური წყალი 2500 ლ/წთ სიმძლავრის ტუმბოს საშუალებით მიეწოდება ტექნოლოგიურ პროცესს (ნახაზი 6.1). ტექნოლოგიური პროცესებიდან ჩამდინარე წყალი იკრიბება საერთო მილით და მიეწოდება სალექარს, რომელსაც აქვს წრიული ფორმა. სალექარი განთავსებულია კომპანიის საკუთრებაში არსებულ, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკ/კოდი N31.17.21.552.

სალექარის მთლიანი სიგრძე 190 მ-ია, სიგანე დასაწყისში 7 მ, წყალმიმღებ გუბურასთან 4 მ. სიღრმე 2 მ. მოცულობა 2000 $მ^3$, ეფექტურობა 90-95%.

სალექარის გავლის შემდეგ გაწმენდილი წყალი ჩაედინება სუფთა წყლის გუბურაში, რომელის მოცულობა 100 $მ^3$-ია. გუბურაში დაყენებულია ტუმბო (სავაჭრო სახელით „კორპო“ სურათი 6.5.), რომლითაც ხდება ტექნოლოგიურ პროცესზე მიწოდება. ბრუნვითი სისტემის ტუმბოს ტექნიკური პარამეტრები მოცემულია ცხრილში 6.1.

ცხრილი 6.1.

ტექნიკური მახასიათებლები	მნიშვნელობები
ძაბვა	V230-400/50HZ
სიძლავრე	5,5 HP
მიწოდების მაქსიმალური სიმაღლე	14,7 მ.
მაქსიმალური მუშა წნევა	10 ბარი
სითხის ტემპერატურა	10^0 C -დან 90^0 C მდე
გარემოს ტემპერატურა	+- 40^0 C
წარმადობა	2500 ლ/წთ

სურათი 6.5.

სალექარის განთავსება, სქემა და ზომები მოცელულია ნახაზზე 6.2 და სურათზე 6.6.

იგივე ადგილას ხდება მდინარიდან აღებული წყლის დამატებაც.

ნახაზი 6.1. წყლის გამოყენების სქემა.

ნახაზი 6.2. სალექარის სქემა



სურათი 6.6.

საწარმოში წარმოიქმნება სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები. მათი შეკრება ხდება საასენიზაციო ორმოში, რომლის მომსახურებაც ხდება ხელშეკრულების საფუძველზე.

საწარმოს ტერიტორიის აღმოსავლეთით, საკუთარი ტრანსპორტის გასამართად, მოწყობილია დიზელით გასამართი ავზი და საჩამომსხმელო სვეტი, რომლის მიმდებარე ტერიტორია იქნება მობეტონებული. ავზი და სვეტი განთავსებული იქნება გადახურვის ქვეშ. გასამართი მოედნის ფართობი იქნება 20 $მ^2$. შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტის შესაკრებად გათვალისწინებული იქნება ნავთობდამჭერი. აღნიშნული ტერიტორიიდან სანიაღვრე წყლები მიეწოდება ნავთობდამჭერში. სათანადო გაწმენდის შემდეგ ჩაშვებული იქნება ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ სანიაღვრე არხში, რომელიც უერთდება მდ. კორისწყალის მარჯვენა განშტოებას შემდეგ კოორდინარზე : X-306681, Y-4665333. წყალჩაშვების წერტილი მდებარეობს ხიდთან.

სანიაღვრე წყლის წლიური მოცულობა იქნება:

$$Q = 10 \times 0{,}002 \times 1\,377 \times 0{,}264 = 7{,}27\ მ^3/წელ$$

ხოლო დღეღამური მაქსიმუმი შეადგენს:

$$Q = 10 \times 0{,}002 \times 132 \times 0{,}264 = 0{,}69\ მ^3/დღ$$

სანიაღვრე წყლების ჩაშვების სქემა მოცემულია ნახაზზე 6.3.

სანიაღვრე
წყალშემკრები
დიზელის
გასამართი ხვეტი
არსებული
საიაღვრე არხი
წყალჩაშვების წერტილი
X-306681, Y-4665333
ნახაზი 6.3.

7. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ფუნქციონირების პროცესში

გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება შეიძლება გამოიხატოს: ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესებით; ხმაურის გავრცელებით; ნიადაგის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურებით; ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებით; ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედებით და სხვ.

7.1. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე

საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროს წარმოადგენს ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარები.

ქვიშა-ხრეშის მსხვრევის პროცესი წარმოებს სველი მეთოდით. ამის გამო უმნიშვნელოა მტვერის წარმოქმნა, როგორც სამუშაო ადგილებზე, ასევე გაფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში. პროცესში ატმოსფეროში გამოიყოფა არაორგანული მტვერი SiO_2-ის 20% -მდე შემცველობით.

მტვერის გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს ყველა ტექნოლოგიური პროცესი და დანადგარი. სამშენებლო მასალების წარმოებისას არაორგანიზებული წყაროებიდან გაფრქვევის გაანგარიშების მეთოდური მითითების შესაბამისად 3%-ზე მეტი ტენიანობის მქონე ქვიშისა და 20%-ზე მეტი ტენიანობის სხვა მასალების შემთხვევაში გაფრქვევები უნდა ჩაითვალოს 0-ს ტოლად. ამის გათვალისწინებით გაფრქვევის გაანგარიშება არ მოხდება ვიბროცხავის და კლასიფიკატორის მუშაობისას და ქვიშის ბაქანზე განთავსებისას.

ზემოაღნიშნულია გათვალისწინებით მტვრის გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროებს წარმოადგენს (ნახაზი 7.1):

- ნედლეულის განთავსება პოლიგონზე(გ-1 წყარო);
- გაფრქვევა ნედლეულის პოლიგონიდან(გ-2 წყარო);
- ნედლეულის მკვებავის ბუნკერში ჩაყრა (გ-3 წყარო);
- ყბებიანი მსხვრევანა (გ-4 წყარო);
- კონუსური მსხვრევანა (გ- 5 წყარო);
- ვიბროცხავზე დაყრა (გ-6 წყარო);
- ლენტური ტრანსპორტიორებით გადაადგილება (გ-7 წყარო)
- პროდუქციის ბაქნებზე განთავსება (გ-8;გ-9;,გ-10 და გ-11 წყაროები);
- გაფრქვევა ღორღის ბაქნებიდან (გ-12წყარო);
- გაფრქვევა დიზელის კვანძიდან (გ-13 წყარო).

ნახაზი 7.1.


ბ-1
ბ-2
ბ-3
ბ-4
ბ-5
ბ-6
ბ-7
ბ-8
ბ-9
ბ-10
ბ-11
ბ-12
ბ-13
4665650
4665610
4665570
306660
306700
306740
306780

საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ანგარიში განხორციელდა საანგარიშო მეთოდიკების გამოყენებით . ანგარიში შესრულებულია მაქსიმალური დატვირთვის პირობებისათვის. ვითვალისწინებთ ტექნიკური რეგლამენტის დანართი 117 პირობას, რომ თუ წყარო არ არის აღჭურვილი ასპირაციული სისტემით და მტვრის გამოყოფა ხდება დახურულ სივრცეში, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც მოწყობილობების მუშაობა მიმდინარეობს ღია ცის ქვეშ, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემასწორებელი მტვრის დალექვის მახასიათებელი კოეფიციენტი-0,4.

საწარმოს ბიზნესგეგმის მიხედვით ქვიშა-ხრეშის სამსხვრევი ხაზის ფუნქციონირებისას წლის განმავლობაში სამუშაო დღეთა რაოდნობაა 250; სამუშაო საათების რაოდნობა წელიწადში 2 000სთ; წლის განმავლობაში ნავარაუდებია 100 000 $მ^3$/წელ (180 000 ტ) ქვიშა-ხრეშის დამსხვრევა.

- **გაფრქვევის ანგარიში ნედლეულის ბაქნებზე განთავსებისას (გ-1 წყარო)**

გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{მტვ.} = K_1 \times K_2 \times K_3 \times K_4 \times K_5 \times K_7 \times K_9 \times G \times B \times 10^6 \times 0,4/3600 \text{ გ/წმ}, \quad (7.1)$$

სადაც

K_1 - მასალაში მტვრის ფრაქციის წილია;

K_2 - მტვრის მთლიანი მასიდან აეროზოლში გადასული მტვრის წილია;

K_3 - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

K_4 - გარეშე ზემოქმედებისაგან საწყობის დაცვითუნარიანობის მახასიათებელი კოეფიციენტია;

K_5 - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

K_7 - გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტია;

K_9 - შემასწორებელი კოეფიციენტი; ავტოთვითმცლელიდან 10 ტონამდე წონის მასალის ზალპური ჩამოცლისას აიღება 0,2 , 10ტ_ზე მეტის შმთხვევაში აიღება 0,1 . სხვა შმთხვევაში იგი აიღება 1-ს ტოლი.

B - გადატვირთვის სიმაღლეზე დამოკიდებულების კოეიციენტია;

G - წარმადობაა, ტ/სთ;

აღნიშნული კოეფიციენტებისა და სიდიდეების მნიშვნელობები საწარმოს კონკრეტული პირობებისათვის აიღება მეთოდიკებში მოცემული დანართებიდან.

საანგარიშო კოეფიცინტების მნიშვნელობები შემდეგია:

K_1- 0,05 ; K_2 – 0,03 ; K_3 – 1,2 ; K_4 – 1,0 ; K_5 - 0,01 ; K_7 – 0,4 ; K_9 – 0,1 ; B – 0,5 ; G – 90 ტ/სთ.

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$M_{მტვრ}$= 0,05x 0,03 x 1,2 x 1,0x 0,01x 0,4x 0,1x0,5 x 90 x 10^6 x 0,4/ 3600=0.0036 გ/წმ

$G_{მტვრ}$=0,0036 x2000x 3600 /10^6=0.0259 ტ/წელ

- **გაფრქვევის ანგარიში ნედლეულის პოლიგონიდან (გ-2 წყარო)**

წარმოქმნილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება 7.2. ფორმულის მიხედვით

$$M_{მტვრ} = K_3 \times K_5 \times K_6 \times K_7 \times q \times f \text{ გ/წმ}; \qquad (7.2)$$

სადაც

K_3 =1,2 - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მაჩვენებელი კოეფიციენტი:

K_5 = 0,1 - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მაჩვენებელი კოეფიციენტია;

K_6 =1,3 - დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილის მაჩვენებელი კოეფიციენტია, მერყეობს 1,3–დან 1,6–მდე;

K_7 =0,6 გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი;

q = 0,002 - მტვრის წატაცების ინტენსივობაა 1 კვ.მ. ფაქტიური ზედაპირის ფართობიდან, გ/მ^{2}წმ;

f =500 მ^2 - ამტვერების ზედაპირის ფართობია.

ამ მონაცემების მიხედვით გვექნება

$M_{მტვრ}$ = 1,2 x 0,1x 1,3 x 0,6x 0,002 x 500 x 0,4= 0,0374 გრ/წმ

$G_{მტვრ.}$ = 0,0374 x 8640 x 3600/10^6 = 1,1633 ტ/წელ

- **გაფრქვევის ანგარიში ბუნკერში მიწოდებისას (გ-3 წყარო)**

გაფრქვევის გაანგარიშება ხდება 7.1 ფორმულით საანგარიშო კოეფიცინტების შემდეგი მნიშვნელობებისათვის:

K_1- 0,05 ; K_2 – 0,03 ; K_3 – 1,2 ; K_4 – 0,1 ; K_5 - 0,01 ; K_7 – 0,4 ; K_9 – 0,2 ; B – 0,5 ; G – 90 ტ/სთ.

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$M_{მტვრ}$= 0,05x 0,03 x 1,2 x 0,1x 0,01x 0,4x 0,2x0,5 x 90 x 10^6 x 0,4/ 3600=0.00072 გ/წმ

$G_{მტვრ}$=0,00072 x 2000x 3600 /10^6=0.0052 ტ/წელ

- **გაფრქვევის ანგარიში ყბებიანი სამსხვრეველადან (გ-4 წყარო).**

ნედლეულის ბუნკერში მიწოდებისას ხდება მისი დატენიანება. მტვრის გამოყოფის ხვედრითი მაჩვენებელი [4]–ის მიხედვით 1ტონა სველი მასალის მსხვრევისას შეადგენს 0,009 კგ/ტ; იმის გავითვალისწინებთ,რომ წელიწადში სამუშაო საათების რაოდენობა შეადგენს 2000 საათს და სამსხვრევში გატარებული 180000 ტ ნედლეულიდან, მისი ფრაქციული შემადგენლობიდან გამომდინარე, მსხვრევას ექვემდებარება საშუალოდ 65%(117000ტ), მივიღებთ:

G=117000x0,009 x 0,4/10^3=0,4212 ტ/წელ

M=0,4212x10^6/2000x3600=0.0585 გ/წმ;

- **გაფრქვევის ანგარიში კონუსური სამსხვრეველადან (გ-5 წყარო)**

როტორულ სამსხვრეველას ნედლეული მიეწოდება ვიბროცხავიდან რომელზედაც ხდება რეცხვა.1ტ სველი მასის მსხვრევისას მტვრის გამოყოფის ხვედრითი მაჩვენებელი შეადგენს 0,009 კგ/ტ; სამსხვრევში გატარებული მასიდან (117 000ტ),მსხვრევას ექვემდებარება დაახლოებით 100000ტ. ზემოთქმულის გათვალისწინებით მივიღებთ:

$G=100000x0,009 \text{ x } 0,4/10^3=0,36$ ტ/წელ

$M=0,36 \text{ x}10^6/2000x3600=0,05$ გ/წმ;

- **გაფრქვევის ანგარიში ვიბროცხავზე მიწოდებისას (გ-6 წყარო)**

წარმოქმნილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება 7.1 ფორმულით საანგარიშო კოეფიცინტების შემდეგი მნიშვნელობებისათვის:

K_1- 0,05 ; K_2 – 0,03 ; K_3 – 1,0 ; K_4 – 0,2; K_5 - 0,01 ; K_7 – 0,4 ; K_9 –1 ; B – 0,4 ; G –58,5 ტ/სთ.

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით (5.1)გამოსახულებაში მივიღებთ:

$M_{მტვრ}= 0,05x \text{ } 0,03 \text{ x } 1,0 \text{ x } 0,2x \text{ } 0,01x \text{ } 0,4x \text{ } 1,0 \text{ x } 0,4 \text{ x } 58,5 \text{ x } 10^6 \text{ x } 0,4/ 3600=0.0031$ გ/წმ

$G_{მტვრ}=0,0031 \text{ x } 2000 \text{ x } 3600 /10^6=0.0224$ ტ/წელ

- **გაფრქვევის ანგარიში ლენტური ტრანსპორტიორებით გადაადგილებისას (გ– 7წყარო).**

გაანგარიშება განხორციელდა იმ 5 ცალი ლენტური ტრანსპორტიორის ერთდროული მუშაობისას,რომლებზეც ხვდება ნაკლებ დატენიანებული მასა.
მასალების ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილებისას მტვრის გაფრქვევები იანგარიშება ფორმულით:

$$M_{მტვ.}= W \text{ x } K. \text{ x } B \text{ x } L \text{ x } 10^3 \text{ გ/წმ}; \quad (7.4.)$$

სადაც,

W – ჰაერის შებერვით გამოწვეული მტვრის ხვედრითი გაფრქვევაა და ტოლია $3x \text{ } 10^{-5}$ კგ/$მ^2$წმ;
K _ ნედლეულის დაქუცმაცების კოეფიციენტია და ტოლია 0,1 მ–ის;
B _ ლენტის სიგანეა და ტოლია 0.6მ–ის;
L _ ლენტის ჯამური სიგრძეა და ტოლია 100 მ;

სათანადო მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$M_{მტვ}= 3 \text{ x } 10^{-5} \text{ x } 0,1 \text{ x } 0,6 \text{ x } 140 \text{ x } 10^3 \text{ x } 0,4=0,072$ გ/წმ

$G_{მტვ}=0,072 \text{ x } 2000 \text{ x } 3600/10^6 =0,5184$ ტ/წელ;

- **ღორღის ბაქნებზე განთავსება (გ-8;გ-9; გ-10 და გ-11 წყაროები)**

წარმოქმნილი მტვრის რაოდენობა ერთი წყაროსათვის იანგარიშება 7.1 ფორმულით კოეფიციენტების შემდეგი მნიშვნელობებისათვის:

K_1- 0,05 ; K_2 – 0,03 ; K_3 – 1,2 ; K_4 –1,0 ; K_5 - 0,01 ; K_7 – 0,6 ; K_9 – 1,0 ; B – 0,7 ; G –14,62 ტ/სთ.

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$M_{მტვრ}$= 0,0x 0,03 x 1,2 x 1x 0,01x 0,6x 1,0x0,7 x14,62x 10^6 x 0,4/ 3600= 0.0205გ/წმ

$G_{მტვრ}$= 0,0205 x 2000x 3600 /10^6= 0.1463 ტ/წელ

ანალოგიური იქნება დანარჩენი სამი წყაროსთვისაც.

- **გაფრქვევა პროდუქციის ბაქნებიდან (გ-12 წყარო)**

ნედლეულის ბაქნები იმდენად ახლოსაა ერთმანეთთან,რომ იგი შეიძლება ჩაითვალოს ერთ წყაროდ.

წარმოქმნილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება 7.2. ფორმულის მიხედვით

$$M_{მტვრ} = K_3 \text{ x } K_5 \text{ x } K_6 \text{ x } K_7 \text{ x } q \text{ x } f \text{ გ/წმ}; \qquad (7.2)$$

სადაც

K_3 =1,2 - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მაჩვენებელი კოეფიციენტი:

K_5 = 0,1 - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მაჩვენებელი კოეფიციენტია;

K_6 =1,3 - დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილის მაჩვენებელი კოეფიციენტია, მერყეობს 1,3–დან 1,6–მდე;

K_7 =0,6 გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი;

q = 0,002 - მტვრის წატაცების ინტენსივობაა 1 კვ.მ. ფაქტიური ზედაპირის ფართობიდან, გ/$მ^2$წმ;

f = 1000 $მ^2$ - ამტვერების ზედაპირის ფართობია.

ამ მონაცემების მიხედვით გვექნება

$M_{მტვრ}$ = 1,2 x 0,1x 1,3 x 0,6x 0,002 x 1000 x 0,4= 0,0749 გ/წმ

$G_{მტვრ.}$ = 0,0749 x 2000 x 3600/10^6 = 0,5391 ტ/წელ

- **გაფრქვევები დიზელით გასამართი პუნქტიდან (გ-13 წყარო)**

ავტოგასამართი სვეტის ფუნქციონირებისას საწვავის მიღება-შენახვა-გაცემის დროს მავნე ნივთიერებათა რაოდენობა 1 ლიტრ დიზელის საწვავზე შეადგენს 0,0025გ ნახშირწყალბადებს (ჯამურად);

წელიწადში 100 000ლ დიზელის მიღება-შენახვა- გაცემისას

$$G = 100\,000 \times 0{,}0025/10^6 = 0{,}0003 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 0{,}0003 \times 10^6/250 \times 8 \times 3\,600 = 0{,}00004 \text{ გ/წმ}$$

მიღებული შედეგები იმდენად მცირეა,რომ გამორიცხულია გარემოზე უარყოფითი გავლენა.

რაც შეეხება არაორგანულ მტვერს, მისი ჯამური წამური რაოდენობა 1,186გ-ის ტოლია, ხოლო საათური რაოდენობა 4,3 კილოგრამის. აღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ დასახლებულ პუნქტამდე 2 000 მ-ზე მეტია, უახლოეს მოსახლესთან მტვრის კონცენტრაცია არ შეიძლება მინიმალურადაც კი მიუახლოვდეს ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციას.

7.2. ხმაურის ზემოქმედება

საწარმოს მუშაობისას მოსალოდნელია ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს გარემოზე და ადამიანებზე.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის წყაროს წარმოადგენენ ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები (სამსხვრევი და ვიბროცხავიები). ლიტერატურული წყაროების მიხედვით სამსხვრევ-დამხარისხებელი ხაზის მუშაობისას ხმაურის მაქსიმალური დონე აღწევს 90 დბა-ს.

საწარმოს მუშაობა გათვალისწინებულია დღის საათებში. დღის პერიოდისათვის საცხოვრებელ და საძილე სათავსოებში აკუსტიკური ნორმები საქართველოს მთავრობის N398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დანართი 1-ს მიხედვით შეადგენს 35 დბა-ს.

როგორც წინა პარაგრაფებშია მოცემული მანძილი უახლოეს დასახლებულ პუნქტსა და ხმაურის წყაროს შორის 2 000მ-ზე მეტია.

საანგარიშო წერტილში ბგერითი წნევის ოქტავური დონეები იანგარიშება ფორმულით:

$$L = Lp - 15\lg r + 10\lg \Phi - \beta r/1000 - 10\lg\Omega, \text{ დბა}$$

სადაც,

Lp – ხმაურის წყაროს სიმძლავრის ოქტავური დონე; გამოყენებული მანქანა დანადგარების სიმძლავრეთა გათვალისწინებით იგი ტოლია 90 დბა.

Φ – ხმაურის წყაროს მიმართულების ფაქტორი, უგანზომილებო, განისაზღვრება ცდის საშუალებით და იცვლება 1-დან 8-მდე ბგერის გამოსხივების სივრცით კუთხესთან დამოკიდებულებით);

r – მანძილი ხმაურის წყაროდან საანგარიშო წერტილამდე;

Ω – ბგერის გამოსხივების სივრცითი კუთხე, რომელიც მიიღება: Ω = 4π-სივრცეში განთავსებისას; Ω = 2π - ტერიტორიის ზედაპირზე განთავსებისას; Ω = π - ორ წიბოიან კუთხეში; Ω = π /2 – სამ წიბოიან კუთხეში;

β– ატმოსფეროში ბგერის მილევადობა (დბ/კმ) ცხრილური მახასიათებელი.

შესაბამისი მნიშვნელობების ჩასმით საცხოვრებელ სახლთან ხმაურის დონე იქნება:

$$L=90-15\lg 2000+10\lg 2-10{,}5x2000/1000-10\lg 12{,}56 = 9{,}5 \text{ დბა}$$

როგორც ანგარიშიდან ჩანს, საწარმოს ექსპლოატაციის დროს წარმოქმნილი ხმაურის დონის გავლენა უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე პრაქტიკულად ვერ მოხდება.

რაც შეეხება ხმაურის გავლენას ტერიტორიის მიმდებარე არსებულ ფერმებზე, წარმადობის გაზრდით ზემოქმედება არ გაიზრდება, რადგან არ იცვლება მუშაობის რეჟიმი. ღამის საათებში, როცა ცხოველები იმყოფებიან ბაგაზე, საწარმოს ფუნქციონირება არ იგეგმება.

7.3. ზემოქმედება ლანდშაფტზე და ბიომრავალფეროვნებაზე

საწარმო აღნიშნულ ტერიტრორიაზე განთავსებულია 2007 წლიდან, მოწყობილი აქვს საჭირო ინფრასტრუქტურა. მისი წარმადობის გაზრდა ვიზუალურ ლანდშაფტურ ცვლილებას არ გამოიწვევს.

საწარმოს ტერიტორია საავტომობილო გზიდან და დასახლებული პუნქტიდან დაშორებულია 2 კმ-ზე მეტი მანძილით, ბუნებრივი ბარიერების (რელიეფი, მცენარეული საფარი) გამო ტერიტორია მგრძნობიარე რეცეპრორებისათვის შეუმჩნეველია.

რაც შეეხება ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედებას, წარმადობის გაზრდით არ იცვლება საწარმოს მუშაობის რეჟიმი (სამუშაო დღეები და საათები), არ ხდება ახალი ტერიტორიის ათვისება, შესაბამისად ბიომრავალფეროვნებაზე დამატებითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

როგორც მე-3 თავშია განხილული, საწარმოს განთავსების ტერიტორიის მიმდებარედ განთავსებულია მსხვილფეხა ცხოველების ფერმები. უახლოესი საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია 180 მ-ით. დამატებითი შესწავლით მოქმედი უახლოესი მოქმედი ფერმა დაშორებულია 260 მ-ით (ნახაზი 7.2.). დაგეგმილი წარმადობის გაზრდით არსებულ ფერმებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, რადგან არ იცვლება სამუშაო საათები, არ იგეგმება ობიექტის ღამის საათებში ექსპლუატაცია. საწარმოში ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირებისას მკაცრად იქნება დაცული ტრანსპორტირებისათვის გათვალისწინებული მარშრუტები და სიჩქარე.

შესაბამისად საწარმოს წარმადობის გაზრდით მიმდებარედ არსებულ ფერმებზე და შინაურ ცხოველებზე ზემოქმედების გაზრდა მოსალოდნელი არ არის.

ნახაზი 7.2.

7.4. ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედება;

საწარმოს წარმადობის გაზრდით ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. საწარმო მოწყობილია და ფუნქციონირებს 2007 წლიდან. წარმადობის გაზრდის შემთხვევაში ახალი ტერიტორიის ათვისება, რაც გამოიწვევს ნიადაგზე უარყოფით გალენას, დაგეგმილი არ არის.

რაც შეეხება არაპირდაპირ ზემოქმედებას, შესაძლებელია ნიადაგის დაბინძურება გამოწვეული იყოს ნარჩენების არასათანადო მართვით, ნავთობპროდუქტების დაღვრით და სხვა გარემოსდაცვითი მოთხოვნების დარღვევით.

საწარმოს ექსპლუატაციის დროს მკაცრადაა განსაზღვრული მანქანების მოძრაობისა და ტექნიკის დგომის არეალი, დაცულია ნარჩენების მართვის წესები, დიზელის გასამართი ავზის და სვეტის ექსპლუატაცია ხორციელდება უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვით, რაც გამორიცხავს ნიადაგზე უარყოფით ზემოქმედებას.

7.5. ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე

როგორც აღნიშნულია, საწარმოში წყალი საჭიროა სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნებისათვის, სასმელი წყლის შესყიდვა მოხდება უახლოესი მარკეტებიდან.

საწარმოო მიზნით წყალაღება გათვალისწინებულია ტერიტორიის მიმდებარედ არსებული გუბურადან, რომელშიც წყალი ღია არხით შემოედინება მდ. კორისწყალიდან. საწარმოში მოწყობილია წყლის გამოყენების ბრუნვითი, ჩაკეტილი სისტემა. ბუნებრივი წყლის ობიექტიდან წყლის დამატება ხდება დანაკარგის შესავსებად.

საწარმოს მაქსიმალური წყალაღება შეადგენს 15 $მ^3$/სთ-ს, რაც მდინარის საშუალო ხარჯის (3,95 $მ^3$/წმ) 0,1 %-ია. აღნიშნული წყალაღების რაოდენობა ვერ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას მდინარის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე.

საწარმოში წარმოიქმნება მხოლოდ სანიაღვრე ჩამდინარე წყლები, დიზელის ავზის განთავსების ტერიტორიიდან, რომელიც გამწმენდი მოწყობილობის გავლისა და სათანადო გაწმენდის შემდეგ, არსებული ტერიტორიული სანიაღვრე არხით ჩაშვებული იქნება მდ. კორისწყალში.

სანიაღვრე წლის მოსალოდნელი მოცულობა იქნება 0,69 $მ^3$/დღ, რაც საათში შეადგენს 0,028 $მ^3$-ს (0,0000079 $მ^3$/წმ). აღნიშნული წყლის ხარჯი იმდენად მცირეა მიმღები წყლის ობიექტის საშუალო ხარჯზე, ვერ მოახდენს რაიმე გავლენას მის ხარისხზე. ამასთან, წყალჩაშვება მოსალოდნელია მხოლოდ წვინიან ამინდებში.

ამდენად, საწარმოს წყალსარგებლობის მაჩვენებლებისა და შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, ზედაპირული წყლის რესურსებზე ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს როგორც ძალიან დაბალი.

7.6. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები

ინერტული მასალის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესის დროს ნარჩენების წარმოქმნა არ ხდება. დახარისხების დროს მიღებული ყველა მასალა წვრილმარცვლოვანი ქვიშისა და სალექარში შეგროვებული შლამის ჩათვლით წარმოადგენს სასაქონლო პროდუქციას.

მანქანა-მოწყობილობების მიმდინარე შეკეთების დროს შესაძლებელია წარმოიქმნას ლითონის ჯართი, ტრანსპორტიორის დაზიანებული ლენტი, ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული საწმენდი ნაჭრები და სხვა. ნარჩენების წარმოქმნა ასევე შესაძლებელია ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრით ავტომანქანების გამართვისა და ნავთობდამჭერის მომსახურეობის დროს. ნარჩენების სავარაუდო რაოდენობა და მათი განთავსების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილი 7.1.-ში.

საწარმო ექსპლუატაციის ეტაპზე მოახდენს წარმოქმნილი და მოსალოდნელი ნარჩენების ინვენტარიზაციას და მათი წარმოქმნის შემთხვევაში შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორებზე გადაცემას. საწარმოს ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო კორპუსის შენობაში, გამოყოფილი აქვს ნაჩენების სათავსო (სურათი 7.1.), რომელშიც ნარჩენები დროებით განთავსდება სეპარირებულად, სახეობების მიხედვით.

საწარმოს ექსპლუატაციისას ხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადაცემის მიზნით გაფორმებულია ხელშეკრულება ააიპ ვანის სპეციალურ სერვისებთან, რომლის მიერაც ტერიტორიაზე დადგმულია ნარჩენების სპეციალური კონტეინერი. ნარჩენების გატანა და პოლიგონზე განთავსება უზრუნველყოფილია წინასწარ შემუშავებული გრაფიკით.

კომპანია ნარჩენების მართვას ახორციელებს ნარჩენების მართვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სურათი 7.1.

ცხრილი 7.1.

N	ნარჩნის კოდი	ნარჩენის დასახელება	სახიფათო (დიახ/არა)	სახიფათოობის მახასიათებელი	განთავსების/ აღდგნის ოპერაციები	სავარაუდო რაოდენობა წელიწარში	შემდგომი მართვა
1	15 02 02*	აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრის ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხავა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანისამოსი, რომელიც დაბინძურებულია საშიში ქიმიური ნივთირებებით	დიახ	H15	D10	10 კგ	შეგროვდება სპეციალურად გამოყოფილ ადგილას. ტრანსპორტირებისთვის გადაეცემა შპს „ეკო სერვის ჯორჯიას“ ს/კ: 405123566; ნარჩენების შემგროვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის ნომერი: 3286901274. ხოლო საბოლოო დამუშავების მიზნით შპს „მედიკალ ტექნოლოგს“ ს/კ: 404384590; ნებართვა: “ბრძანება N-1037” 30.12.2015
2	13 02 06*	ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის სინთეთიკური ზეთები და სხვა ზეთოვანი ლუბრიკანტები	დიახ	H3-H5	R13	40 კგ	შეგროვდება სპეციალურად გამოყოფულ ჰერმეტულ კასრში. კონტრაქტის საფუძველზე ტრანსპორტირებისთვის გადაეცემა შპს „ეკო სერვის ჯორჯიას“ ს/კ: 405123566; ნარჩენების შემგროვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის ნომერი: 3286901274, ზეთები ტრასპორტირებული იქნება შპს ,,ალტერვეისტი’’10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის (ნარჩენი ზეთები) 3დროებითი შენახვის ობიექტზე.
3	17 05 05*	გრუნტი, რომელიც შეიცავს საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს	დიახ	H5	D10	50 კგ	შეგროვდება სპეციალურად გამოყოფილ ჰერმეტულ კასრში. კონტრაქტის საფუძველზე ტრანსპორტირებისთვის გადაეცემა შპს „ეკო სერვის ჯორჯიას“ ს/კ: 405123566; ნარჩენების შემგროვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის ნომერი:

							3286901274. ხოლო საბოლოო დამუშავების მიზნით გადაეცემა „მედიკალ ტექნოლოგს“ ს/კ: 404384590; ნებართვა: “ბრძანება N-1037” 30.12.2015
4	13 05 03*	ნავთობდამჭერის ნალექი (შესაძლებელია შეიცავდეს ნავთობპროდუქტებს)	მყარი	H5	D10	5 კგ	შეგროვდება სპეციალურად გამოყოფილ ჰერმეტულ კასრში. კონტრაქტის საფუძველზე ტრანსპორტირებისთვის გადაეცემა შპს „ეკო სერვის ჯორჯიას“ ს/კ: 405123566; ნარჩენების შემგროვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის ნომერი: 3286901274. ხოლო საბოლოო დამუშავების მიზნით გადაეცემა „მედიკალ ტექნოლოგს“ ს/კ: 404384590; ნებართვა: “ბრძანება N-1037” 30.12.2015
5	13 05 07*	ზეთიანი, ნავთობიანი წყალი ნავთობი, ზეთი/წყლის სეპარატორიდან	თხევადი	H5	D9/ D10	5 კგ	შეგროვდება სპეციალურად გამოყოფილ ჰერმეტულ კასრში. კონტრაქტის საფუძველზე ტრანსპორტირებისთვის გადაეცემა შპს „ეკო სერვის ჯორჯიას“ ს/კ: 405123566; ნარჩენების შემგროვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის ნომერი: 3286901274. ხოლო საბოლოო დამუშავების მიზნით გადაეცემა შპს „სანიტარს“
6	16 01 17	შავი ლითონი	არა	-	R4	500 კგ	ჩაბარდება ჯართის მიმღებ პუნქტებს
7	20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები	არა	-	D1	1 ტ.	გაიტანება ვანის ა(ა)იპ სპეციალური სერვისების მიერ და განთავსდება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე

7.7. ზემოქმედება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე

ნედლეულით მომარაგება ხდება, და კვლავაც მოხდება შპს „ვაგი“-ს ლიცენზირებული კარიერებიდან, რომლებიც განთავსებულია მდ. რიონის კალაპოტში. მდ. რიონის კალაპოტიდან საწარმოს ტერიტორიამდე ტრანსპორტირებით მუნიციპალურ გზებზე დატვირთვა არ გაიზრდება. ტრანსპორტირების სქემა მოცემულია ნახაზი 7.3.-ზე. არსებული სიმძლავრით საწარმოს ნედლეულით მომარაგებისათვის სჭირდებოდა დღეში 20 გადაზიდვა, ხოლო წარმადობის გაზრდის შემდეგ დასჭირდება დღეში 25 გადაზიდვა. კარიერიდან საწარმოს ტერიტორიამდე არ არის დასახლებული პუნქტი, შესაბამისად ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

რაც შეეხება პროდუქციის ტრანსპორტირებას, წარმადობის მომატების პირობებში სატრანსპორტო ნაკადების რაოდენობა გაიზრდება, მაქსიმალური წარმადობის პირობებში 4 გადაზიდვით და იქნება 24 დღეში. თუმცა საწარმოს ტერიტორიიდან ვანი-ბაღდათის გზამდე ტრანსპორტი არ გაივლის დასახლებულ პუნქტს, შესაბამისად სატრანსპორტო ნაკადების მომატება არ იქნება შესამჩნევი.

საწარმოდან ტვირთების ტრანსპორტირება ხორციელდება საფარებლით აღჭურვილი ავტოტრანსპორტით, ტვირთების ტრანსპორტირებისა და საგზაო მოძრაობის წესების დაცვით. საწარმოს ტვირთების ტრანსპორტირების სქემა მოცემულია ნახაზზე 7.3.



ნახაზი 7.3.

7.8. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

საპროექტო საწარმოს განთავსების ადგილის უახლოეს დაცულ ტერიტორიას წარმოადგენს აჯამეთის აღკვეთილი, რომელამდეც პირდაპირი მანძილი 5.3-კმია. (ნახაზი 7.4).

ნახაზი 7.4.

რაც შეეხება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, საპროექტო ტერიტორიიდან 2 კმ-იან რადიუსში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი არ არის განთავსებული.

7.9. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

საწარმო ფუნქციონირებით მნიშვნელოვან წვლილი შეაქვს სოციალური პირობების გაუმჯობესებაში.

საწარმოში და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ დასაქმებულთა რიცხვი დიდი არ არის (დაახლოებით 10-მდე ადამიანი), მაგრამ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით დადებითად მოქმედებს ადამიანების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

ამასთან, საწარმოს ექსპლოატაცია დაკავშირებულია ქვეყანაში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საჭიროებისათვის, ამდენად მისი ექსპლუატაცია ხელს უწყობს ქვეყნის ინფრსტრუქტურის გაუმჯობესებას.

შპს ქვეყანაში არსებული საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხდის მასზე დაკისრებულ გადასახადებს, რაც დადებითად აისახება ადგილობრივ ბიუჯეტზე.

7.10. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე

საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში ადამიანების (იგულისხმება როგორც მომსახურე პერსონალი, ასევე მიმდებარე მაცხოვრებლები) ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება პირდაპირი სახით მოსალოდნელი არ არის. დაწესებული რეგლამენტის დარღვევის (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების ან/და სამშენებლო დანადგარების არასწორი მართვა, შრომის უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევა), აგრეთვე სხვადასხვა მიზეზის გამო შექმნილი ავარიული სიტუაციის შემთხვევაში შესაძლებელია როგორც არაპირდაპირი, ისე მეორადი უარყოფითი ზემოქმედება სახიფათო შედეგებით.

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში დაცულია მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შრომის უსაფრთხოების წესები და გარემოს დაცვის მოთხოვნები, რაც მინიმუმამდე ამცირებს ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფით ზემოქმედების რისკებს.

7.11. ავარიული რისკები

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელია ავარიების წარმოქმნის რისკები, რასაც შესაძლებელია მოყვეს ადამიანების დაშავება და მატერიალური ზარალი.

ობიექტის ექსპლუატაცია დაკავშირებულია მძიმე ტექნიკის გამოყენებასა და სატრანსპორტო გადაზიდვებთან, ამიტომ არსებობს რისკი ავტომანქანების შეჯახების ერთმანეთთან, ან საწარმოს სტაციონარულ ობიექტებთან, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანების დაშავება ან ხანძარი.

შპს „ვაგი-ს“ ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს ექსპლუატაციის დროს ავარიების წარმოქმნა ძირითადად დაკავშირებული იქნება უსაფრთხოების წესების უხეშ დარღვევასთან.

საწარმო შედის „შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დამტკიცებულ „მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალში”, შესაბამისად ვალდებულია ექსპლუატაციის პროცესში გაითვალისწინოს შრომის უსაფრთხოების პირობები, დანიშნოს თანამშრომელი შრომის უსაფრთხოების საკითხებზე, შეადგინოს ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა. თანამშრომლებს სისტემატიურად ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი. სახიფათო უბნებზე გამოკრული იქნება გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნები.

7.12. კუმულაციური ზემოქმედება

კუმულაციური ზემოქმედების შეფასება გულისხმობს მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირებას, რომლებიც როგორც ცალკე აღებული არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა არსებული, მიმდინარე თუ პერსპექტიული პროექტების განხორციელებით მოსალოდნელ, მსგავსი სახის ზემოქმედებასთან ერთად საგულისხმო

უარყოფითი ან დადებითი შედეგების მომტანია. ამდენად, კუმულაციური ზემოქმედების განხილვა უნდა მოხდეს ჯამური ეფექტის მქონე ემისისების შემთხვევაში.

როგორც წინა პარაგრაფებში იყო აღნიშნული, საწარმოს ტერიტორიის 500 მ-ან ზონაში არ არის საწარმოო ობიექტი (უახლოესი საწარმო დაშორებულია 1100 მ-ით), შესაბამისად კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

7.13. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება

საწარმოს ტიპის, წარმადობის, გარემოს ცალკეულ კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების სახეობისა და მასშტაბის, ასევე მისი განთავსების ტერიტორიის გათვალისწინებით, ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

8. საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედების ტიპი, მასშტაბი და ხარისხი

ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს ექსპლუატაცის შედეგად, ადამიანის ჯანმრთელობაზე და გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების წინასწარი შეფასებით მიღებული დასკვნები მოცემულია ცხრილში 8.1.

ცხრილი 8.1.

№	გარემოს კომპონენტები	ზემოქმედების ტიპი, მასშტაბი და ხარისხი
1	ბუნებრივი გარემო	
1.1.	ატმოსფერული ჰაერი	დაბალი უარყოფითი
1.2.	ხმაური	არაა მოსალოდნელი
1.3.	ნიადაგი	არაა მოსალოდნელი
1.4.	ბუნებრივი ლანდშაფტები ფლორა და ფაუნა	არაა მოსალოდნელი
1.5.	წყლის რესურსები	უმნიშვნელო უარყოფითი
1.6.	დაცული ტერიტორიები	არაა მოსალოდნელი
1.7.	ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე	არაა მოსალოდნელი
1.8.	ნარჩენების წარმოქმნა	უმნიშვნელო უარყოფითი
1.9.	კუმულაციური ზემოქმედება	არაა მოსალოდნელი
1.10	ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება	არაა მოსალოდნელი
2	სოციალურ–ეკონომიკური გარემო	
2.1.	ადამიანების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	საშუალო უარყოფითი
2.2.	ადამიანების დასაქმება	საშუალო დადებითი
2.3.	ეკონომიკური მდგომარეობა	საშუალო დადებითი

დანართები

დანართი 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

[illegible] N 31.17.21.003

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	მომზადების თარიღი
N 882021346577 - 29/04/2021 16:35:32	29/04/2021 18:38:07

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
ვანი	ზეინდარი		
31	17	21	003

მისამართი: რაიონი ვანი , სოფელი ზეინდარი

ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 29980.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**31.17.01.696;**

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882021341496 , თარიღი 28/04/2021 16:55:49
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 29/04/2021

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:28/04/2021 , საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
შპს "ვაგი", ID ნომერი:412758957

მესაკუთრე: **აღწერა:**
შპს "ვაგი"

იპოთეკა

1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882021346577 თარიღი 29/04/2021 16:35:32

იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკი"204854595;
საგანი:დაზუსტებული ფართობი: 29980.00 კვ.მ;

იპოთეკის ხელშეკრულება N 1231232868979, დამოწმების თარიღი29/04/2021,
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 29/04/2021

საგალასახალი გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მაგრამალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების სანქციად მიღებისას სამეწარმეო გადასახადი გადახდას ექვემექვემბრება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე. რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ერთიანი საგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და საგენტოს აკредიტებულ პირებთან;
- ამონაწერში გვქონია ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეაქვეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა შრომის უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტაზე: info@napr.gov.ge

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 31.17.21.552

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	მომზადების თარიღი
N 882022222778 - 01/04/2022 15:08:12	27/04/2022 14:56:28

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
ვანი	შეთხარი		
31	17	21	552

მისამართი: რაიონი ვანი , სოფელი შეთხარი

ნაკვეთის საკუთრების გვარი:საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 3760.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:31.17.21.002;

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882022222778 , თარიღი 01/04/2022 15:08:12
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 27/04/2022

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- გადაწყვეტილება N66029 , დამოწმების თარიღი:18/04/2022 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:28/04/2021 , საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
შპს "ვაგი" , ID ნომერი:412758957

მესაკუთრე: **აღწერა:**

შპს "ვაგი"

იპოთეკა

1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882021346598 თარიღი 29/04/2021 16:37:40

იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკი"204854595;
საგანი:დაზუსტებული ფართობი: 3760.00 კვ.მ;

იპოთეკის ხელშეკრულება N 1231232868987, დამოწმების თარიღი29/04/2021, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 29/04/2021

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მაგრამალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მისი ლარებულების ქირების სანაცვლად მიღებლის სამეწარმეო გადასახადი გადახდის ვალდებულებისგან სანგარიში წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი ამავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ერთიანი სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გკრიტერიულ სარეგისტრაციო სამსახურში, უსტიციის სახლებსა და სააგენტოს აუდიტორიებულ პირებთან;
- ამონაწერში აღნიშნული ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაუკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია უსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომლებია მზრდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაუკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტაზე: info@napr.gov.ge

დანართი 2. მინდობილობა.

სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათას ოცდაერთი წლის **ოცდაორ აპრილს** მე, საქართველოს ნოტარიუს ვლადიმერი ჭოხონელიძეს, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. ქუთაისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. 39 "ა" ფართი №9-ში მომმართა **ფრიდონ ღვინეფაძემ** მან განაცხადა, რომ იგი არის **შპს "ვაგი "-ის (ს/კ 412758957)** დირექტორი და სურს **შპს "ვაგი "-ის (ს/კ 412758957)** დირექტორის სახელით მინდობილობის **შედგენა ოთარ ჩიხლაძის** მიმართ. მან მოითხოვა ამ მინდობილობის შედგენა და ნოტარიულად დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ფრიდონ ღვინეფაძემ (დაბ. 11.12.1966წ. მცხ. თერჯოლა ს. ზედა სიმონეთი; პირადი ნომერი №21001000786)** მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. ასევე შევამოწმე **ფრიდონ ღვინეფაძის** უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ იგი ნამდვილად არის **შპს "ვაგი "-ის (ს/კ 412758957)** დირექტორი, რაც დასტურდება ამონაწერით რომელიც გაცემულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან მომზადების თარიღი: 15.04.2021წ. განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B21038197; ასევე მარწმუნებელს განუმარტე, რომ მას აქვს უფლება ნებისმიერ დროს გააუქმოს მინდობილობა. ამის შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მიმნდობს. მან წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

მინდობილობა

ორიათას ოცდაერთი წლის ოცდაორ აპრილს მე **ფრიდონ ღვინეფაძე (დაბ. 11.12.1966წ. მცხ. თერჯოლა ს. ზედა სიმონეთი; პირადი ნომერი №21001000786)** როგორც **შპს "ვაგი "-ის (ს/კ 412758957)** დირექტორი ამ მინდობილობით ოთარ ჩიხლაძეს **(დაბ.22.09.1975წ. მცხ. წყალტუბო ნიკო კეცხოველის №2, პირადი №53001006798)** ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას **შპს "ვაგი "-ის (ს/კ 412758957)**დირექტორის სახელით წარმომადგინოს ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებაში, ნებისმიერ სამინისტროში, იუსტიციის სახლში, წარმომადგინოს ნებისმიერ ბანკში და აწარმოოს ნებისმიერი საბანკო ოპერაციები მათ შორის (თანხის შეტანა, გამოტანა, გადარიცხვა), **ინტერნეტ ბანკის მეშვეობით ნებისმიერი საბანკო ოპერაციის განხორციელება,** ინტერნეტ ბანკინკის **სარგებლობისათვის ჩართვა, პაროლის შეცვლა, და** მასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოწყობილობის **(Digipass, sms** და ა.შ.) **მიღება/სარგებლობა/ დაბრუნება.** ასევე უფლებამოსილებას ვაძლევ **შპს "ვაგი "-ის (ს/კ 412758957)** დირექტორის სახელით გახსნას ნებისმიერ ბანკში ანგარიშები და აწარმოოს საბანკო ოპერაციები (თანხის შეტანა, გამოტანა, გადარიცხვა). გამოიყენოს ნებისმიერი ბარათები, აიღოს ბანკომატში დაკავებული ბარათი, დაბლოკოს და განბლოკოს ბარათები, გადაიხადოს ნებისმიერი კომუნალური გადასახადები. მიიღოს ბანკიდან ინფორმაცია განხორციელებული საბანკო ოპერაციების შესახებ, მიიღოს ცნობები დავალიანების შესახებ და საბანკო ანგარიშის ამონაწერი. მიიღოს ცნობები საგადასახადო ინსპექციიდან (შემოსავლების სამსახურიდან) და საჯარო რეესტრიდან (სამეწარმეო რეესტრიდან). წარმომადგინოს და იმოქმედოს დირექტორის სახელით საგადასახადო ორგანოებში და აწარმოოს საგადასახადო ოპერაციები, საზოგადოების სახელით შეისყიდოს ნებისმიერი სახის საქონელი საქართველოში, კანონით დადგენილ ფარგლებში. გადაიხადოს კანონით გათვალისწინებული გადასახადები, შეიძინოს ან მიიღოს საზოგადოების სახელზე გამოგზავნილი ნებისმიერი სახის საქონელი (ტვირთი), მიიღოს მონაწილეობა მის გახსნაში, განაბაჟოს ნებისმიერი ტვირთი და მოახდინოს ტვირთის ტრანსპორტირება ნებისმიერი მიმართულებით დანიშნულების ადგილამდე და მოახდინოს ნებისმიერი საქონლი (ტვირთის) რეალიზაცია. ასევე მას უფლება აქვს **შპს "ვაგი "-ის (ს/კ 412758957)** დირექტორის სახელით შეიტანოს განცხადება ან სარჩელი ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში.იყოს ცემი როგორც დირექტორის წარმომადგენელი იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტში გააფორმოსა და ხელი მოაწეროს **შპს "ვაგი "-ის (ს/კ 412758957)** დირექტორის სახელით ნებისმიერ დოკუმენტებს, გააფორმოს ნებისმიერი ხელშეკრულებები, მათ შორის გენერალური თანამშრომლობის ხელშეკრულებები, ნასყიდობის ხელშეკრულებები, პროდუქტების მიწოდების შესახებ, საიჯარო ხელშეკრულება, განსაზღვროს ხელშეკრულებების ნებისმიერი პირობა მისი შეხედულებისამებრ, ასევე შეიტანოს ცვლილებები ამ ხელშეკრულებებში. და შეასრულოს ყველა ის მოქმედება რაც დაკავშირებულია ზემოთ აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

ასევე უფლებას ვაზლევ **შპს "ვაგი "-ის (ს/კ 412758957) დირექტორის სახელით შეიძინოს ნებისმიერი უძრავი ქონება** საქართველოს ტერიტორიაზე, **განსაზღვროს ნასყიდობის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობა მისი შეხედულებით,** გააფორმოს **შპს "ვაგი "-ის (ს/კ 412758957)** სახელზე ნებისმიერი **უძრავი ქონება, ხელი მოაწეროს ნასყიდობის ხელშეკრულებას, საჯარო რეესტრში,** გაატაროს **რეგისტრაციაში** და **აიღოს ამონაწერი.**

ეს მინდობილობა შედგენილია **ხუთ** ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროში, ხოლო დანარჩენი ეგზ. მიეცა **ფრიდონ ღვინეფაძეს.**

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.

ფრიდონ ღვინეფაძემ გადაიხადა: სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილების 31-ე მუხლის თანახმად საზღაური: ათი ლარი; 39-ე მუხლის თანახმად სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური ორი ლარი. დღგ ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი.

შპს "ვაგი "-ის (ს/კ 412758957) დირექტორი:

ფრიდონ ღვინეფაძე

ნოტარიუსი: ვლადიმერი ჭოხონელიძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

44185423872821

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N210390858

რეგისტრაციის თარიღი

22.04.2021 წ

ნოტარიუსი: ვლადიმერ ჭოხონელიძე
მისამართი: ქ.ქუთაისი ი.ჭავჭავაძის გამზირი N39ა ფართი N9
ტელეფონი: 599 50 81 82

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

დანართი 3. პასუხები სამინისტროს შენიშვნებზე (წერილი10/02/2022წლის N1277/01).

N	კითხვა	პასუხი
1.	სკრინინგის განცხადების თანახმად, ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს ტერიტორიაში შემავალი ერთი მიწის ნაკვეთი (ს/კ: 31.17.21.002) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა. „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების გარეშე მისი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება დაუშვებელია. შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას	შენიშვნა გათვალისწინებულია. სალექარის ნაწილის განთავსების ტერიტორიას შეეცვალა კატეგორია. ამჟამად საწარმოს ყველა ინფრასტრუქტურა განთავსებულია ორ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე: საკ. კოდები 31.17.21.003 და 31.17.21.552
2.	სკრინინგის განცხადებაში, სატიტულო გვერდზე, დოკუმენტის სათაურად მითითებულია ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, ხოლო შესავალ ნაწილში, სკრინინგის განცხადების წარმოდგენის სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” II დანართის მე-5 მუხლის 5.1 ქვეპუნქტი და მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტი. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს კორექტირებას და და დაგეგმილ საქმიანობასთან შესაბამისობაში მოყვანს	შენიშვნა გათვალისწინებულია, სატიტულო გვერდზე დაემატა ინფორმაცია ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობის შესახებ.
3.	წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „ვაგიმ” არსებული სამსხვრევდამახარისხებელი საწარმო, რომელიც ფუნქციონირებს 2007 წლიდან, შეიძინა შპს „გელათი 2007”-სგან და 2021 წელს უზრუნველყო საწარმოს წარმადობის გაზრდა და შიდა მოხმარების მიზნით, ნავთობპროდუქტების საცავის განთავსება, შესაბამისად, სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნეს ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით;	შენიშვნა გათვალისწინებულია. სკრინინგი წარმოდგენილია ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.
4.	წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ „წარმადობის მომატების პირობებში სატრანსპორტო ნაკადების რაოდენობა გაიზრდება, მაქსიმალური წარმადობის პირობებში 4 რეისით”, დაზუსტებას საჭიროებს საწარმოში ნედლეულის	ინფორმაცია დაზუსტებულია სკრინინგის განაცხადში : ქვეთავი 7.7.-ში.

	ტრანსპორტირების საკითხი, კერძოდ, დღეში განხორციელებული სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობა;	
5.	წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან 180 მეტრის დაშორებით მდებარეობს მცირე ზომის ფერმები, შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში განხილული უნდა იქნეს მიმდებარედ არსებულ ფერმებზე შესაძლო ზემოქმედების საკითხი;	ინფორმაცია ფერმებზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ დაემატა სკრინინგის განაცხადში ქვეთავი 7.2. და 7.3.
6.	წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს ტერიტორიაზე დიზელის საწვავის შესანახად მოწყობილია მიწისზედა ავზი (20 000 ლ) და ჩამომსხმელი სვეტი, თუმცა, დაზუსტებული არ არის ნავთობპროდუქტების შესანახი რეზერვუარის სასუნთქი სარქველებისა და გადახურვის შესახებ ინფორმაცია;	დიზელის ავზის გადახურვისა და სასუნთქი სარქველის შესახებ ინფორმაცია მოცემულია თავი 5. ნახაზი 5.2. და სურათი 5.4.
7.	სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს სახიფაო ნარჩენების განთავსების საკითხი;	სახიფათო ნარჩენების დროებითი სათავსოს შესახებ ინფორმაცია დაზუსტებულია ქვეთავში 7.6.
8.	წარმოდგენილ დოკუმენტაციის თანახმად, წყალაღება ხორციელდება მდინარე კორისწყლიდან, თუმცა, სკრინინგის განცხადებაში მითითებული კოორდინატები არ ემთხვევა აღნიშნულ ზედაპირული წყლის ობიექტს, შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს თუ საიდან ხდება წყალაღება, შესაბამისი GPS კოორდინატების მითითებით	წყალაღების GPS კოორდინატი დაზუსტდა სკრინინგის განაცხადში.
9.	სკრინინგის განცხადებაში მითითებული არ არის სალექარის ტექნიკური პარამეტრები;	სალექარის ტექნიკური პარამეტრები მოცემულია თავი 6. ნახაზი 6.2.
10.	სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოო მიზნით წყალაღება გათვალისწინებულია მდ. კორისწყლიდან, საიდანაც ტექნიკური წყალი ტერიტორიამდე მოდის ღია არხით, თვითდინებით და ჩაედინება წყალმიმღებ გუბურაში, წყალმიმღები გუბურადან ტუმბოს საშუალებით მიეწოდება ტექნოლოგიურ პროცესს. დაზუსტებას საჭირებს გუბურის მოცულობა და ტუმბოს ტექნიკური პარამეტრები	ტუმბოს ტექნიკური პარამეტრები და გუბურას მოცულობა დამატებულია თავი 6-ში.
11.	შესწორებულ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ზემოაღნიშნულ შენიშვნებზე რეაგირების შესახებ ინფორმაცია, ერთიანი ცხრილის სახით.	ცხრილი მოცემულია დანართი 3.-ში.

დანართი 4. პასუხები სააგენტოს N 21/5184 13/09/2022 წერილით გამოგზავნილ შენიშვნებზე

N	კითხვა	პასუხი
1	„ობიექტის წყალმომარაგება და წყალარინების“ თავში მითითებულია, რომ „საწარმოო მიზნით წყალაღება გათვალისწინებულია მდ. კორისწყალის განშტოებიდან შემდეგ კოორდინატზე X - 306996, Y – 4665482“. ამასთან, ამავე თავში აღნიშნულია, რომ „მდინარიდან ტექნიკური წყალი მოდის ღია არხით, თვითდინებით და ჩაედინება წყალმიმღებ გუბურაში (X - 306969, Y - 4665714) სურათი 6.4.), საიდანაც წყალაღების ტუმბოს საშუალებით მიეწოდება საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ სალექარის სუფთა წყლის შემკრებ გუბურას“. საჭიროა დაკონკრეტდეს ზედაპირული წყლის ობიექტი, საიდანაც ხდება წყლის ამოღება და წყლის ამოღების GPS კოორდინატები. ასევე, მოცემული უნდა იქნას ინფორმაცია საწარმოო წყალმომარაგებისათვის გამოყენებული ,,ღია არხის” დანიშნულებისა და კუთვნილების თაობაზე;	ზედაპირული წყლის ობიექტი და წყლის ამოღების GPS კორდინატები დაკორექტირდა სკრინინგის ანგარიშში. რაც შეეხბა „ღია არხის“ დანიშნულებას და კუთვნილებას, არხი აღნიშნულ ტერიტორიაზე მოწყობილია წლების წინ, მიედინება კერძო ნაკვეთებს შორის, არ არის ვინმეს საკუთრება. არხით ნალექების დროს ხდება სანიაღვრე წყლების შეკრება/გატარება. აღნიშნული ინფორმაცია, ასევე, დაემატა სკრინინგის ანგარიშს.
2	ამასთან, საპროექტო ტერიტორიის მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდები და წარმოდგენილი shp-ფაილები ურთიერთშეუსაბამოა, რაც საჭიროებს დაზუსტებას.	shp ფაილები დაკორექტირდა მიწის საკადასტრო კოდების შესაბამისად.